ხელშეკრულება № 07

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ქ. ბათუმი 2021 წელი

ერთის მხრივ **შპს "ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა"** შემდგომში „***შემსყიდველი***" წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ შერვაშიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს "პოლიგრაფ სერვისი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ისმეთ ტანტიბას სახით შემდგომში „***მიმწოდებელი***", დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. მოთხოვნის შესაბამისად საოფისე მანქანები, კომიუტერების პრინტერებისა და ავეჯის გარდა (30100000) -500 ლარი. ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები (22800000)- 500 ლარი

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 1000 (ერთიათასხუთას) ლარს

2. გარანტია

2.1 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას საქონლის მიწოდების შემდგომ არანაკლებ 30 დღის განმავლობაში უზრუნველყოს გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით ან ნაკლის მქონე საქონლის შეცვლა.

3. ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით.

3.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5. სადაო საკითხების გადაწყვეტა

5.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

5.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

6. გამოყენებული სამართალი

6.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

7. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი.

7.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს მოთხოვნისამებრ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„შემსრულებელი"
შპს "ქ.ბათუმის №1 პოლიკლინიკა"	***შ.პ.ს "პოლიგრაფ სერვისი"***
ანგარიშის GE05TB7370636080100001	*ქ.ბათუმი ლერმონტოვის 47*
საიდენტიფიკაციო კოდი: №245 426 392	*ანგარიშის №* GE52PC0343600100010812
მიმღების ბანკი: სს"თიბისი ბანკი"	*საიდენტიფიკაციო კოდი: №24385355*
ბანკის კოდი: TBCGE22	*მიმღების ბანკი: სს "პროკრედიტ ბანკი*
	ბანკის კოდი: № MIBGGE22
დირექტორი: "Batumi Polyclinic N1" Ltd /თ. შერვაშიძე/ Подписано цифровой подписью "Batumi Polyclinic N1" Ltd Дата: 2021.02.04 12:01:16 +04'00'	დირექტორი: /ი.ტანტიბა/

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 2021 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად ვადასტურებ, რომ ჩვენი მონაწილეობა შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკას“ და შპს „პოლიგრაფრსერვის“ შორის 2021 წლის N 07 ხელშეკრულების გაფორმებისას არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით ინტერესთა კონფლიქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს ;

შპს „ქ.ბათუმის N1 პოლიკლინიკის

დირექტორი თენგიზ შერვაშიძე

"Batumi Polyclinic N1" Ltd

Подписано цифровой подписью: "Batumi Polyclinic N1" Ltd
Дата: 2021.02.04 12:01:37 +04'00'